ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 4

2021 წლის 16 თებერვალი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზი ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, ლენა აბაშიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, იუზა კელენჯერიძე(სათაბირო ხმის უფლებით შვებულებაში ყოფნის გამო), გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე,

სულ საკრებულოს 19 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე**

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 18 წევრი

მომხრე 18

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).**

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და კომისია წარმოდგენილ ცვლილებებს მხარს უჭერს,

დ. კიკნაძემ, აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი, მხარს უჭერს ცვლილებებს და ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ზარანში გზა დღესაც დაუსრულებელია, ხალხი ვინც დასაქმებული იყვნენ ამ მეწარმის მიერ ერთი თეთრიც არ მიუღიათ.

ი. კოპაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული მეწარმე მუშაობდა ღორეშაში, და იქაც დასაქმებულებს ხელფასი არ მიუღიათ.

შ. ლურსმანაშვილმა , რომელმაც მხარდაჭერა გამოხატა წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილების მიმართ და აღნიშნა იმ პრობლემების შესახებ, რომელიც დაბაში მცხოვრებ მოქალაქეებს შეექმნათ პატარა ხარაგაულში წყლის სისტემის რეაბილიტაციის გამო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებით

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 18 წევრი

მომხრე 18

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**